



საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER
OMBUDSMAN OF GEORGIA

N 15-3/1952
23/02/2024

1952-15-3-2-202402230957



სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსს
ბატონ კარლო კაციტაძეს

წინადადება

სისხლის სამართლის [REDACTED] საქმეზე ეფექტიანი გამოძიების წარმოების თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო კარლო,

საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულები, საგამონაკლისო წესით, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში გაეცნენ სისხლის სამართლის [REDACTED] საქმეზე (სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლების მხრიდან, სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების ფაქტზე) მიმდინარე გამოძიების საქმის მასალებს. აქვე, მასალების საგამონაკლისოდ გაცნობის შესაძლებლობისთვის მადლობას გიხდით.

საქმის მასალების გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ გამოძიება, დაწყების დღიდან სტაბილურად და აქტიურად მიმდინარეობდა, ჩატარებულია არაერთი ძირითადი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება. თუმცა, მიგვაჩნია, რომ მოცემულ საქმეზე, მასალების გაცნობის მომენტისთვის, ჩატარებული არ იყო ცალკეული საგამოძიებო მოქმედებები, რომელთა ჩატარების შემთხვევაში მიღებული ინფორმაცია მნიშვნელოვანი იქნება გამოძიების ეფექტიანობისა და შესაძლო ბრალდებულ პირთა პასუხისმგებლობის გამოკვეთისთვის.

სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის შედეგად გამოკვეთილ ხარვეზებზე წინამდებარე წინადადებაში დეტალურად იქნება საუბარი.

ფაქტობრივი გარემოებები

საქმის მასალების მიხედვით, 2022 წლის 9 ივნისს, ბრალდებული [REDACTED] N8 პენიტენციურ დაწესებულებაში შეასახლეს. 2022 წლის 10 ივნისს ბრალდებულს შეხვდა და გაესაუბრა ფსიქოლოგი, რომელმაც მისი სუიციდის რისკი შეაფასა, როგორც დაბალი (6 ქულა), თუმცა, რადგან საშუალო რისკთან (7 ქულა) მიახლოებული ქულა დაუდგინდა, გასცა რეკომენდაცია ბრალდებულის ფსიქიატრთან კონსულტაციისა და სამეთვალყურეო ვიდეოკამერით აღჭურვილ საკანში განთავსების თაობაზე. 2022 წლის 11 ივნისს, დაახლოებით 03:00 საათზე, [REDACTED] N66-ე საცხოვრებელი საკნის საპირფარეშოში, სუიციდი განახორციელა. ამავე დღეს, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში გამომიება დაიწყო სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლების მხრიდან, სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების ფაქტზე, მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, რამაც №8 პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული ბრალდებულის - [REDACTED] სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

საქმის მასალების გაცნობის შედეგად გამოკვეთილი გარემოებები

1. ვიდეო მასალის დათვალიერების შედეგები¹

1.1. N66 საკანში განთავსებული ვიდეო კამერების ჩანაწერები

საქმეზე მოპოვებული ვიდეომასალის სახალხო დამცველის ოწმუნებულის მიერ დათვალიერების შედეგად ირკვევა, რომ 2022 წლის 11 ივნისს, [REDACTED] განთავსებული იყო პატიმრებთან - [REDACTED] და [REDACTED] ერთად.² დამის საათებში [REDACTED] და [REDACTED] წვანან და უყურებენ ტელევიზორს, ხოლო, [REDACTED] მაგიდასთან ზის და ისიც უყურებს ტელევიზორს. [REDACTED] საწოლთან მდგარი თაროდან იღებს ელასტიკური ბინტის მაგვარ ნივთს და 02:58:33 საათზე შედის საკნის საპირფარეშოში. 03:09:37 საათზე [REDACTED], რომელსაც ამ დროს არ ეძინა, მიდის კარებთან და დაწესებულების თანამშრომელს, [REDACTED],³ სავარაუდოდ, ესაუბრება. 03:13:52 საათზე, პატიმარი მიდის საპირფარეშოს კარებთან, თუმცა, არ აღებს მას და ისევ ტრიალდება საკნის კარებისკენ. 03:14:03 საათზე, [REDACTED] აღებს საპირფარეშოს კარებს, რომელიც მიხურულია და როგორც ჩანს, შიგნიდან ჩაკეტილი არ არის. კარების გაღებისთანავე იგი სავარაუდოდ, ცდილობს [REDACTED] დახმარების გაწევას. 03:14:48 საათზე იღება საკნის კარები და შემოდის [REDACTED]

¹ ვიდეო მასალის დათვალიერებით ირკვევა, რომ ელექტრონული მეთვალყურეობის საშუალებებით აღჭურვილ ოთახში განთავსებული ვიდეო კამერების ჩანაწერები, დროში, დაახლოებით, 2 წუთით ჩამორჩება N8 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულ ვიდეო კამერების ჩანაწერებს.

² პატიმრების ვინაობა იდენტიფიცირებულია სისხლის სამართლის საქმის მასალების მიხედვით.

³ ვინაობა იდენტიფიცირებულია სისხლის სამართლის საქმის მასალების მიხედვით.

მას მოჰყვებიან სხვა თანამშრომლები. 03:16:16 საათზე [REDACTED] გამოჰყავთ საპირფარეშოდან საკანში, აწვენენ იატაკზე და ცდილობენ მის დახმარებას. 03:17:19 საათზე, საკანში შემოდის სამედიცინო ნაწილის თანამშრომელი, [REDACTED] ⁴ იგი მხოლოდ ვიზუალურად აკვირდება [REDACTED] და 03:17:37 საათზე გადის საკნიდან, ისე, რომ პირველადი სამედიცინო დახმარების მიზნით რაიმე სამედიცინო მანიპულაცია არ ჩაუტარებია. დაწესებულების თანამშრომლები ცდილობენ [REDACTED] პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევას მკერდის არეში გულის არაპირდაპირი მასაჟის მეშვეობით, თუმცა, უშედეგოდ. 03:24:05 საათზე, [REDACTED] საკნიდან გაჰყავთ დაწესებულების სამედიცინო ნაწილში.

1.2. დერეფანში განთავსებული ვიდეო კამერის ჩანაწერი

03:09:29 საათზე, დაწესებულების თანამშრომელი, [REDACTED] დაბალი ტემპით მიდის საკნის კარებთან. საკანში განთავსებული ვიდეო კამერის ჩანაწერის მიხედვით, ეს ის დროა, როდესაც პატიმარი, [REDACTED] საკნის კარებთან არის მისული. შესაბამისად, სავარაუდოდ, [REDACTED] სწორედ [REDACTED] ესაუბრება. 03:14:02 საათზე [REDACTED] სწრაფად ტრიალდება და სირბილით გადის კადრიდან. 03:14:38 საათზე, იგი სწრაფი ნაბიჯებით ბრუნდება საკანთან, გასაღებს არგებს კარებს და შედის. შემდეგ საკანში შედიან სხვა თანამშრომლებიც, მათ შორის, სამედიცინო ნაწილის თანამშრომელი.

1.3. ე.წ. პულტების ოთახში განთავსებული ვიდეო კამერის ჩანაწერი

გამოძიებისთვის საინტერესო დროის მონაკვეთში, ელექტრონულ მონიტორინგს სპეციალური პენიტენციური სამსახურის ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამართველოს სამი თანამშრომელი ახორციელებს. მათ სამუშაო ოთახში განთავსებული ვიდეო კამერების ჩანაწერის მიხედვით, [REDACTED],⁵ 02:59:10 საათზე, მთლიან ეკრანზე გამოაქვს ერთ-ერთი საკნის კადრი, შემდეგ ცვლის კადრებს. 02:59:40 საათზე იგი დგება და გადის კადრიდან, მას კი სხვა თანამშრომელი ცვლის. 03:03:29 საათზე, [REDACTED] სამუშაო ადგილს უბრუნდება. 03:03:51 საათზე იგი ერთ-ერთ კადრს ადიდებს მთელ ეკრანზე, შემდეგ სხვა კადრებზე გადადის. 03:04:18-ზე იგი იღებს ტელეფონს და რეკავს, 03:05:40 საათზე ისევ რეკავს, შემდეგ, აგრძელებს მონიტორინგს. 03:10:50 საათზე ისევ რეკავს, 03:12:10 საათზე მთელ ეკრანზე გამოაქვს ერთ-ერთი კადრი, ჩანს, რომ მობილიზებულია, იღებს ტელეფონს და რეკავს. ვიდეო ჩანაწერის გადიდებით ჩანს, რომ კადრები, რომელსაც ის უყურებს, სავარაუდოდ არის [REDACTED] საკანში განთავსებული ვიდეო კამერით გადაღებული და სავარაუდოდ, ხსენებულ საკანში განვითარებულ მოვლენებს ასახავს. [REDACTED] სამუშაო მაგიდასთან სხვა თანამშრომლებიც იყრიან თავს, შეშფოთებულები ჩანან და ისინიც ახორციელებენ სატელეფონო ზარებს.

⁴ ვინაობა იდენტიფიცირებულია სისხლის სამართლის საქმის მასალების მიხედვით.

⁵ ვინაობა იდენტიფიცირებულია სისხლის სამართლის საქმის მასალებით.

2. [REDACTED] გამოკითხვა

მიმდინარე გამოძიების ფარგლებში გამოიკითხა [REDACTED] მისი ჩვენებით, 2022 წლის 11 ივლისს, დაახლოებით 03:00 საათზე, დაურევა ე. წ. პულტების ოთახის თანამშრომელმა, შეემოწმებინა N66 საკანში განთავსებული [REDACTED] რომელიც გარკვეული დროის განმავლობაში, საპირფარეშოდან არ გამოდიოდა.

[REDACTED] ჩვენებით, მან N66 საკანში მყოფ ერთ-ერთ პატიმარს, [REDACTED], რომელსაც ეღვიძა, სთხოვა დაეკაკუნებინა საპირფარეშოს კარზე ისე, რომ არ გაუღია საკნის კარები და პატიმრის შემოწმების მიზნით, საკანში თვითონ არ შესულა.

[REDACTED] დაკაკუნებაზე საპირფარეშოდან [REDACTED] გამოეხმაურა, თუმცა რაიმე სიტყვებით არ გამოხმაურებია და მხოლოდ ხმა გამოსცა. ამის შემდეგ, რამდენიმე წუთი საკნის კარის საკვებურიდან ესაუბრებოდა [REDACTED]. 2-3 წუთის შემდეგ კი, რადგან [REDACTED] საპირფარეშოდან ისევ არ გამოვიდა, კვლავ [REDACTED] სთხოვა საპირფარეშოს კარზე დაკაკუნება, ხოლო როცა შიგნიდან [REDACTED] არ გამოეხმაურა, [REDACTED] სთხოვა კარის გაღება და მისი შემოწმება. [REDACTED] როდესაც კარი გააღო, იყვირა „თავი ჩამოიკიდაო“. შემდეგ თავად გაიქცა საკნის გასაღების მოსატანად და გასძახა სხვა თანამშრომელს, [REDACTED] გასაღების მოსატანად დასჭირდა დაახლოებით 3 წამი. როდესაც საკანში შევიდნენ, [REDACTED] უკვე ჩამოხსნილი ჰყავდა.⁶

3. [REDACTED] გამოკითხვა

მოწმე [REDACTED] გამოკითხვისას განმარტა, რომ [REDACTED] სუიციდის პრევენციის პროგრამაში ჩართული არ ყოფილა და შესაბამისად, არ ევალებოდა მისთვის განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა. მისი ჩვენებით, ასეთი ვალდებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, როდესაც სუიციდის პრევენციის პროგრამაში ჩართული პატიმარი 5 წუთზე მეტი ხნის განმავლობაში არ ჩანს ვიდეო კამერების მხედველობის არეალში, რა დროსაც იგი ვალდებულია შეატყობინოს შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების სამორიგეო განყოფილებას. მიუხედავად ამისა, [REDACTED] მაინც აქცევდა ყურადღებას და მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი საპირფარეშოში შესვლიდან 5-6 წუთის შემდეგ აღარ გამოჩნდა, აღნიშნულის შესახებ N8 პენიტენციური დაწესებულების სამორიგეო განყოფილების თანამშრომელს აცნობა.

4. სხვა საგამოძიებო მოქმედებები

საქმეზე დროულად დაინიშნა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, რომლის დასკვნა მიღებული არ არის; დათვალიერებულია შემთხვევის ადგილი; დაარქივებული და საქმეზე დართულია რელევანტური დროის ვიდეო ჩანაწერები, რომლის დათვალიერების ოქმი საქმეში არ მოიპოვება; გამოკითხულია არაერთი მოწმე, მათ შორის, პატიმრები და

⁶ მსჯავრდებული [REDACTED] თავის ჩვენებაში ადასტურებს [REDACTED] ჩვენებას.

დაწესებულების თანამშრომლები, რომლებსაც შეეძლოთ გამოძიებისთვის საინტერესო ინფორმაციის მიწოდება და სხვა.

წინამდებარე საქმის ანალიზი და სამართლებრივი სტანდარტები

მოგეხსენებათ, რომ სიცოცხლის უფლებასთან მიმართებით სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, სრულყოფილად იქნეს ჩატარებული ყველა საჭირო საგამოძიებო მოქმედება. გამოძიების სრულყოფილად და ყოველმხრივ წარმოების ვალდებულებას ითვალისწინებს ასევე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.⁷

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების შესასრულებლად, გამოძიება უნდა წარიმართოს ეფექტიანად (მათ შორის, დროულად და ზედმიწევნითად) და დადგინდეს, [REDACTED] მიერ სუიციდის ჩადენა, იმ პირობებში, როდესაც იგი სახელმწიფოს ეფექტიანი კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა და მის მიმართ ხორციელდებოდა უსაფრთხოების ღონისძიება ელექტრონული მონიტორინგის სახით, ხომ არ იყო გამოწვეული სპეციალური პენიტენციური სამსახურის პასუხისმგებელ მუშაკთა მხრიდან სავარაუდო დაგვიანებული რეაგირების განხორციელების შედეგი და ხომ არ იქნებოდა შესაძლებელი ამგვარი შედეგის თავიდან აცილება დროული ზომების მიღების შემთხვევაში.

მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე ძირითადი საგამოძიებო მოქმედებები მყისიერად ჩატარდა და სწრაფად გამოიკითხნენ ფაქტთან რაიმე შემხებლობაში მყოფი პირები, რამაც გამოძიებას მისცა საშუალება საქმის ფაქტობრივი გარემოებები დაედგინა, მასალების შესწავლით გამოიკვეთა, რომ ჩატარებული არ არის მნიშვნელოვანი შემხვედრი საგამოძიებო მოქმედებები, კერძოდ:

- არ არის დადგენილი ინახება თუ არა სამსახურებრივი ტელეფონების (არა მობილური ტელეფონები) სატელეფონო საუბრების ისტორია ან/და აუდიოჩანაწერები და არსებობის შემთხვევაში - არც მოპოვებული;
- სატელეფონო საუბრების ისტორიის ან/და აუდიოჩანაწერების არსებობის შემთხვევაში, უნდა დადგინდეს მოწმე [REDACTED] და [REDACTED] სატელეფონო საუბრების ზუსტი დრო (საათი/წუთი/წამი), იმის გარკვევის მიზნით, რამდენი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც [REDACTED] მიიღო ინფორმაცია [REDACTED] და შესაბამისად, რამდენად დროულად იმოქმედა შემდგომში;
- არ არის მოპოვებული ე.წ. პულტების ოთახისა და ფაქტთან შემხებლობაში მყოფი პენიტენციური სამსახურის სხვა თანამშრომლების სატელეფონო ზარების ისტორიები (არსებობის შემთხვევაში - აუდიოჩანაწერები), იმის დადგენის მიზნით,

⁷ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 37, ნაწილი 2.

საინტერესო დროის მონაკვეთში ჰქონდათ თუ არა სატელეფონო კომუნიკაცია სხვა პირებთან, ვისთან, რა მიზნით (მაგ. N8 დაწესებულების სხვა მორიგე თანამშრომელთან ან სხვა პასუხისმგებელ პირებთან);

- არ არის გარკვეული, იყენებდნენ თუ არა რელევანტური დროის მონაკვეთში, N8 პენიტენციურ დაწესებულებაში, ფაქტთან შემხებლობაში მყოფი პირები რაციებს, ინახება თუ არა რელევანტური დროის რაციების აუდიო ჩანაწერები და შესაბამისად, არ არის მოპოვებული რაციების ჩანაწერები;
- არ არის ჩატარებული, ვიდეოჩანაწერის დემონსტრირებით, მოწმე [REDACTED] დეტალური გამოკითხვა, თუ რომელ საათზე/წუთზე დააფიქსირა [REDACTED] საპირფარეშოში შესვლა და შემდეგ, აღნიშნულის შესახებ, რა მომენტში ატყობინებს მოწმე [REDACTED] (ვინაიდან ვიდეოჩანაწერებზე ჩანს, რომ [REDACTED] ახორციელებს რამდენიმე ზარს, უნდა გაირკვეს, რომელი ზარი იყო [REDACTED] პირველადი შეტყობინება [REDACTED] შემოწმების შესახებ);
- არ არის [REDACTED] და [REDACTED] მოპოვებული ზუსტი ინფორმაცია მათი რამდენიმეწუთიანი კომუნიკაციის ზუსტად რომელ მონაკვეთში სთხოვა [REDACTED] ვის შეხმიანება. ამავდროულად, არ ხდება, კითხვების დასმა იმის დაზუსტების მიზნით, თუ საპირფარეშოს კარის კონკრეტულად რომელ ნაწილში დააკავუნა [REDACTED] ან სხეულის რა მოძრაობა შეასრულა (ვიდეოჩანაწერზე არ არის აღმოჩენილი საპირფარეშოს კარზე დაკავუნების მომენტი, თუმცა არც გამოირიცხება, ვინაიდან კარი სრულად არ ექცევა ვიდეო მეთვალყურეობის ქვეშ. ამავდროულად, ჩანაწერის გაცნობა ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ [REDACTED] საპირფარეშოსთან არ მიდის და არც ტრიალდება [REDACTED] საუბრის პარალელურად (იგულისხმება ე.წ. პირველი შეხმიანების ეპიზოდი) და რჩება ეჭვი, დაკავუნების ეპიზოდთან დაკავშირებით ორივე მოწმის მიერ მიცემული ჩვენება შესაბამება თუ არა სიმართლეს და დააკავუნა თუ არა [REDACTED] საპირფარეშოს კარზე რეალურად);
- არ არის დაზუსტებული, თუ რატომ არ ჰქონდა თან საკნის გასაღები [REDACTED] მაშინ, როდესაც [REDACTED] შემოწმება სთხოვა და რატომ არ განახორციელა აღნიშნული პირადად/საჭიროების შემთხვევაში, თანამშრომელთან ერთად;
- არ მომხდარა საქმეზე 2022 წლის 15 აგვისტოს მოპოვებული ვიდეოჩანაწერების დათვალიერების სათანადოდ დოკუმენტირება.

ხსენებულ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარება კრიტიკულად მნიშვნელოვანია საქმეზე სრული ინფორმაციის შეკრებისა და შესაძლო პასუხისმგებელ პირთა გამოკვეთისთვის, ვინაიდან, მომხდარი ფაქტის შემთხვევაში, როდესაც პატიმარი სუიციდს სჩადის, დროის მცირე მონაკვეთსაც შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს მისი სიცოცხლის გადარჩენის მიზნით სათანადო ღონისძიებათა გატარებისთვის. ამდენად, მიგვაჩნია, რომ მითითებული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შედეგად მიღებული ინფორმაცია

ნათელს გახდის, რამდენად დროულად იმოქმედეს პენიტენციური სისტემის თანამშრომლებმა, ჰქონდათ თუ არა მათ საკმარისი დრო და შესაძლებლობა, მყისიერი რეაგირების შემთხვევაში თავიდან აეცილებინათ დამდგარი შედეგი და არსებობს თუ არა შესაძლო დაგვიანებულ რეაგირებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი.

დასკნა

ამრიგად, სისხლის სამართლის ██████████ საქმეზე სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების უზრუნველყოფისა და ეფექტური გამოძიების წარმართვის მიზნით, აუცილებლია ყველა მნიშვნელოვანი საგამოძიებო მოქმედების დროული და ზედმიწევნით ჩატარება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ წინადადებით: ხსენებულ სისხლის სამართლის საქმეზე, შემჭიდროვებულ ვადებში ჩატარდეს დასახელებული საგამოძიებო მოქმედებები.

ამასთან, გთხოვთ, მოცემული წინადადების განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

ლევან იოსელიანი

სახალხო დამცველი

